# ხელშეკრულება №147
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო: 2015 წლის 12 ოქტომბერი*

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

1.1 ერთის მხრივ სსიპ ქ.ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა, მისი დირექტორი დოდო ცხვიტაიას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევისცენტრი", მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

"შემსყიდველი" ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გამარტივებული შესყიდვის წესით, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვის კანონის" შესაბამისად ავალებს "მიმწოდებელს" ჩაატაროს სასმელი წყლის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევები ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ მაჩვენებლებზე (კოდ CPV71900000).

### 3 .სამუშაოს წარმოების, ჩაბარებისა და მიღების წესი

3.1 ხელშეკრულების საგანში /პუნქტი№2/ აღნიშნული სასმელი წყლის ანალიზის ჩატარების ჯერადობას, პერიოდულობას და მაჩვენებლების შერჩევას განსაზღვრავს "შემსყიდველი".

3.2 აღებული ნიმუშები დალუქულ მდგომარეობაში წარედგინება ლაბორატორიას ნიმუშის აღების აქტთან ერთად.

3.3 ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს "მიმწოდებელი" აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს "შემსყიდველს" ნორმების მითითებით ანალიზის დამთავრებისთანავე, მიღება–ჩაბარების აქტთან ერთად.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 140 (ასორმოც) ლარს.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში;

4.4. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს "შემსყიდველს" ანგარიშ ფაქტურა (ინვოისი) შესრულებულ სამუშაოზე.

4.5. ანგარიშსწორება იწარმოებს "მიმწოდებლის" მიერ საბუთების წარდგენიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმალობაში.

### 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 მხარეები პასუხიმგებლები არიან აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია ინფორმაციის კონფედენციალურობის დაცვაზე.

5.3 მხარეებს შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების გაწყვეტის ვადამდე 10 (ათი) დღით ადრე.

## 6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება ან ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთახმებით.

## 7. ს ა ნ ქ ც ი ე ბ ი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "შემსყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელის მოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 30 ოქტომბრამდე.

## 9. დამატებითი პირობები

9.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, აქვთ თანაბარი ძალა და ინახება ორივე მხარესთან.

## 10. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

" შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი "

სსიპ ქ.ზუგდიდის№5საჯარო სკოლა

მის: ქ.ზუგდიდი, გორგასალის 2
საინდიფიკაციო კოდი: 219988315
მ/ა GE11LB0121154085541000
ბანკი ს.ს. ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ტელ: 577 177330
ელ.ფოსტა:dodo.cgvitaia01@gmail.com

დირექტორი: /დ.ცქვიტაია/

" მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი "

შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"

მის: ქ. ფოთი, მიქაბერიძე №2
საინდიფიკაციო კოდი: 215139348
მ/ ა GE12LB0113140194132000
ს/ს "ლიბერთი" ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ტელ:599 506162
ელ.ფოსტა: kvleviscentri@mail.ru

დირექტორი: /გ. რუხაძე/

შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი'

15 ოქტომბერი 2015წ.

მიღება–ჩაბარების აქტი №

წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრმა" ხელშეკრულება №147 12,10.15 წ. თანახმად მ/წლის წლის 12 ოქტომბერს შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრ"–მა გაუწია მომსახურეობა, ხოლო სსიპ ქ.ზუგდიდის #5 საჯარო სკოლამ მიიღო ქვემოთ აღნიშნული მომსახურეობა.

| № | მომსახურეობის დასახელება | ღირებულება |
|---|---|---|
| 1. | სასმელი წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა 1 ნიმუში | 140-00 |
| | | |
| | | |
| | | |
| | ჯამი: | 140-00 |

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რაზედაც ორივე მხარე ვაწერთ ხელს.

დამკვეთი ორგანიზაცია: სსიპ ქ.ზუგდიდის #5 საჯარო სკოლა

საიდენტიფიკაციო კოდი: 219988315

ორგანიზაციის მისამართი: ქ. ზუგდიდი

შესასრულებელი ობიექტი: ქ. ზუგდიდი, გორგასალის 2

#5 საჯარო სკოლის წარმომადგენელი:

დირექტორი: ------------------ /დ.ცქვიტაია/

შემსრულებელი ორგანიზაცია: შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 215139348

ორგანიზაციის მისამართი: ქ.ფოთი მიქაბერიძის ქ.№ 2

შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრის" წარმომადგენელი:

დირექტორი: ------------------ / გრიგოლ რუხაძე/